

სოფელ ჭუბერში, გეოლოგების აზრით, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა სტიქიის ხელშემწყობი ერთ-ერთი მიზეზი იყო [იხ. ვიდეო]



თარიღი: 2018წ, 06 ივლისი, დრო: 11:03

სტიქია სოფელ ჭუბერში - გეოლოგები, რომლებიც ღვარცოფულ პროცესებს სწავლობენ პირდაპირ მიანიშნებენ, რომ მდინარე ნენსკრა და მისი ხეობა პრობლემური და სარისკო ადგილია. სპეციალისტების აზრით, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა სტიქიის ხელშემწყობი ერთ-ერთი მიზეზი იყო. მათი ინფორმაციით, ტერიტორიაზე 10-მდე მენყერსაშიში ზონაა, რისი გააქტიურებაც ადგილზე სამშენებლო სამუშაოების შემდეგ დაიწყო. იმ შემთხვევაში თუ მშენებლობა გეგმის მიხედვით გაგრძელდა, რაც ტყის მასივის მოჭრასაც გულისხმობს, სპეციალისტები კატასტროფულ შედეგებს პროგნოზირებენ. ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელი დავით ჭიპაშვილი ამბობს, რომ ნენსკრას ჰიდროელექტროსადგური დამატებით ფისკალურ საფრთხეებს უქმნის ქვეყანას. გარემოსდამცველების მეორე ნაწილი ამ მოსაზრებას არ იზიარებს. მათი განცხადებით, სტიქიის მიზეზი მხოლოდ ძლიერი ნალექი გახდა.